ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა -განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „GUFRUIT"-ს (შემდგომში „კომპანია") ფინანსურ ინფორმაციას. შპს „GUFRUIT" არის საქართველოში რეგისტირირებული კომპანია, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც მის საკუთრებაში არსებულ 42.0645 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე გაშენებულ ვაშლის ბაღში ახდენს ვაშლის მოყვანას შემდგომი რეალიზაციისათვის". აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარიზის მიმდებარე ტერიტორიაზე.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

სალეხ მამედოვი - 0,004925 %;

ფუად მამედოვი - 0.004925 %;

ილლია მიშჩენკო - 99.99015 %.

2. მნიშვნელოვანი საბუღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.2 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

2.3. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული შეფასების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ საბუღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

2.4 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულია საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2.5 მარაგები

საინვენტარო მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. საინვენტარო მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს. მზა საქონლისა და დაუმთავრებელი სამუშაოს თვითღირებულება მოიცავს ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ნორმალური საოპერაციო მოცულობის საფუძველზე, მაგრამ სესხების ხარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პირობებში, სამუშაოების დასრულების ხარჯებისა და გაყიდვისთვის აუცილებელი სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის გამოკლებით. მოძველებული ან ნელი მოძრაობის მარაგების უზრუნველყოფა არ ხდება.

2.6 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საამორტიზაციო ანარიცხების შესაბამისად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის, ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

საიჯარო ქონების გაუმჯობესების ამორტიზაცია ხდება იჯარით აღებული შესაბამისი აქტივის გამოყენების ვადის განმავლობაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ნორმის შესაბამისად.

2.7 ბიოლოგიური აქტივები და ბიოპროდუქცია

სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება ბასს 41-ის „სოფლის მეურნეობა" თანახმად. ყურძნის მოსავლის აღება, როგორც წესი, ოქტომბერში ხდება. მოსავლის აღებამდე, ყურძნის მოშენების დანახარჯები აღირიცხება სასაქონლო- მატერიალურ მარაგებში. მოსავლის აღებისას ყურძენი ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ამიტომ ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ბასს 41-ის შესაბამისად და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად ყოველგვარი მოგება თუ ზარალი აისახება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.
ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, კომპანიის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.
გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ეს შეფასება წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღებისას გადაიტანება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში.
ბასს 41-ის მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ასევე ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აისახება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.
სამრეწველო მცენარეები აღირიცხება თვითღირებულებით, ბასს 16-ის „ძირითადი საშუალებები" შესაბამისად.

2.8 სხვა არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.
განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალზე. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 5-7 წლით პროგრამებისთვის, უფლებებისა და სხვა მსგავსი არამატერიალური აქტივებისთვის.
განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ განიცდიან ცვეთას. ყოველწლიურად ხდება მათი არსებული ღირებულებისა და ამოღებადი თანხის შედარება იმისათვის რომ დადგინდეს გაუფასურებული ხომ არ არის არამატერიალური აქტივი.

2. 9 იჯარა

ბასს 17-ის შესაბამისად, იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა მოიჯარეს, თუ მას ასევე გადაეცემა იჯარით აღებული აქტივის ყველა რისკი და ვალდებულება. აქტივი აღიარებულია იჯარის კონტრაქტის დაწყებისას იჯარით აღებული აქტივის სამართლიანი ღირებულებით ან, თუ უფრო დაბალია, იჯარის გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულია როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ იჯარით გათვალისწინებული თანხის ნაწილის გადახდა შეიძლება მოხდეს წინასწარ. ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივები შემდგომში ბუღალტრულად აღირიცხება სხვა აქტივების მსგავსად რომლებსაც ფლობს კომპანია. ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება ფინანსური ხარჯებით შემცირებული საიჯარო გადახდებით, რომელიც აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი. საიჯარო გადახდებიდან საპროცენტო ელემენტი განისაზღვრება როგორც პროპორცია კაპიტალის ნაშთიდან და აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში. ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარით აღებულ ქონებაზე გადახდები აღიარებულია წლის ხარჯებში წრფივი მეთოდით, ასევე ხარჯად აღიარდება მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა მომსახურება და სადაზღვევო, როგორც გაწეული ხარჯი.

2.10 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველიაღიარებისას კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან როდესაც ფინასნური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკები გადადის სხვა პირზე.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორეიბად:

- სესხები და სხვა მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს და ვალდებულებას აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. ყველა შემოსავალი და ხარჯი დაკავშირებული ფინანსურ აქტივებთან აღიარებულია ფინასური საქმიანობის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად - „ფინანსური ხარჯი“ ან „ფინანსური შემოსავალი“.

სესხები და სხვა მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექვივალენტებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან მოთხოვნა ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მიკლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სასესხო ვალდებულები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები მიეკუთვნება და პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან, შეძენასთან ან წარმოებასთან. ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან მოთხოვნა ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

2.11 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორცილედება კომპანიის პარტნიორების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია რომლებიც დაკავშირებულია მშობელ კომპანიასთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მშობელი კომპანიის რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულებები იმ პეიორდისათვის, რომლებშიც ის გამოცხადდა.

2.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება განაწილებული მოგება და ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან.

აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.13 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგე-ბელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- შემოსავლი თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

1. სესხები

	2021 წლის 31 დეკემბერი
სესხები	
ბანკი	4771919
სხვა სესხები	

2. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	242835
სხვა ვალდებულება	46342

ვალდბულებების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღიანია. არ ერიცხება პროცენტი.

არ არის აუცილებლად მიჩნეული ვალდებულებებზე ანარიცხების შექმნის საჭიროება, რადგან ისტორიულად არ დამდგარა კრედიტორების გაუფასურების შედეგი.

3. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი
ადმინისტრაციული ხარჯები	59302

4. ფინანსური ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ხარჯი	
საპროცენტო ხარჯი	466937
	466937

5. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. მიღებული ბუღალტრული შედეგი შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს.

ძირითადი საშუალებების სასიცოხლო ციკლი და ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისაგან.

მარაგების გაუფასურების რეზერვი

ინვენტარის გაუფასურების რეზერვი იქნება ძნელად გაყიდვადი, მოძველებული და ინვენტარის დანაკლისი არსებობის შემთხვევაში. ინვენტარის გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების განსაზღვრა დაეყრდნობა დაშვებებს მოთხოვნასა, ინვენტარის ბრუნვასა, ინვენტარის დაზიანებასა და მოპოვებაზე.

კომპანიაში საანგარიშგებო წლის დასრულების პერიოდისათვის არ ჩატარებულა მარაგების ინვენტარიზაცია.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში, აქედან გამომდინარე აქვს საკურსო სხვაობის რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკული დოლარში და ევროში.

შპს „შპს „GUFRUIT“-ს“ მთ. ბუღალტერი: ტატიანა უსენკო

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	399642	77301	445257
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	271585	524808	286833
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	7675	4986
მარაგები	862250	1352551	1027341
მზა პროდუქცია	642404	895984	517234
სხვა	219846	456567	510107
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7675	60339	157341
ბიოლოგიური აქტივები	897171	897171	897171
თვითღირებულების მოდელით	897171	897171	897171
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1220	1220	1220
ძირითადი საშუალებები	1299296	1530811	1736264
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3738839	4451876	4556413
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	242835	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	357	24112
საგადასახადო ვალდებულებები	25892	5307	10768
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	4771919	4771919	4756227
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	46342	735222	667472
სულ ვალდებულებები	5086988	5512805	5458579
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	684483	676800	676200
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-2032632	-1740253	-1578366
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	2524	0
სულ საკუთარი კაპიტალი	-1348149	-1060929	-902166
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3738839	4451876	4556413
სულ მოკლევადიანი აქტივები	271585	524808	286833
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

შპს „შპს „GUFRUIT“-ს“ მთ. ბუღალტერი: ტატიანა უსენკო

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	2378955	1238109
საქონლის გაყიდვიდან	2147421	1238109
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	231534	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1813742	-1016205
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	565213	221904
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2541	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	0	-370013
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-140744	-191214
საპროცენტო შემოსავალი	0	500040
საპროცენტო ხარჯი	-466937	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-59302	-319480
სულ საოპერაციო ხარჯები	-664442	-380667
საოპერაციო მოგება	-99229	-158763
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	6753	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-92476	-158763
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-92476	-158763
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-92476	-158763
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-1060929	-902166
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-194744	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-1348149	-1060929

შპს „შპს „GUFRUIT“-ს“ მთ. ბუღალტერი: ტატიანა უსენკო

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	322341	-367956
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	322341	-367956
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	77301	445257
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	399642	77301

შპს „შპს „GUFRUIT“-ს“ მთ. ბუღალტერი: ტატიანა უსენკო